საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

KA030137832609020

№ 01-399/ო **07 / აგვისტო / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ებ :

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა, თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

„დანართი“

ადმინისტრაციის, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

1. ადმინისტრაციის, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) **უმაღლესი განათლება** - ეკონომიკური ან/და ბიზნესის ადმინისტრირება ან/და მათემატიკა და სტატისტიკა;

ბ) **სამუშაო გამოცდილება** - მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ - 2 წლის გამოცდილება;

გ) კომპიუტერული პროგრამების (MS office Word, Excel, Access, Power Point და Outlook) კარგ დონეზე ცოდნა.

2. ადმინისტრაციის, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ბ) საქართველოს შრომის კოდექსი;
გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
დ)„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ვ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება.
ზ) ,,პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილება.